



## საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

### ბრძანება N 2-1673

22/12/2021

ქ. თბილისი

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულიშკარში, მდ. ყულისწყლის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულიშკარში მდ. ყულისწყლის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულიშკარში, მდ. ყულისწყლის მარცხენა ნაპირზე, ზუგდიდი-ჩხოროწყის ცენტრალური გზის მიმდებარედ, სოფლის გამგეობის შენობასთან. საკვლევ უბანზე განვითარებულია ნაპირის ინტენსიური გვერდითი ეროზიული პროცესები, რაც საფრთხეს უქმნის ადმინისტრაციულ შენობებსა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს. ავარიული უბნის დასაცავად პროექტით გათვალისწინებულია 180 მ სიგრძის ნაპირგასწვრივი გაბიონის კედლის მოწყობა. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X - 250891.329, Y - 4710756.447; X - 250854.332, Y - 4710741.563; X - 250823.486, Y - 4710735.273; X - 250799.005, Y - 4710743.135; X - 250768.688, Y - 4710759.897; X - 250728.810, Y - 4710784.502.

პროექტით გათვალისწინებული გაბიონი წარმოდგენილი იქნება 3.0X2.0X0.3 მ და 6.0X2.0X0.3 მ ზომის ლეიბებზე დაფუძნებული სამიარუსიანი კედლის სახით. პირველი იარუსი მოეწყობა 2.0X1.0X1.0 მ და 1.5X1.0X1.0 მ ზომის გაბიონის ყუთებისგან, მეორე იარუსი - 2.0X1.0X1.0 მ ზომის გაბიონის ყუთებისგან, ხოლო მესამე - 1.5X1.0X1.0 მ გაბიონის ყუთებისგან. გაბიონების ლეიბის ქვეშ დაეფინება გეოტექსტილი. გაბიონის ყუთები და ლეიბი მოქსოვილი იქნება მოთუთიებული, გალვანიზირებული მავთულით (დიამეტრით 2.7 მმ). გაბიონის ყუთის უჯრედის ზომა იქნება 8X10 სმ. გაბიონის კედლის უკან მოეწყობა უკუყრილი.

ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობის პროცესში გამოყენებული იქნება თითო ავტოთვითმცლელი, ბულდოზერი და ექსკავატორი. პროექტის განხორციელებისას, თავდაპირველად გაიჭრება წყლის გადამგდები დროებითი არხი, ხოლო არხიდან ამოღებული გრუნტი გამოყენებული იქნება დროებითი დამბის მოსაწყობად. შემდგომ მომზადდება ქვაბული, მოსწორდება გაბიონის ლეიბის განთავსების ტერიტორია და დაეფინება გეოტექსტილი. გაბიონის მოწყობის შემდგომ, ქვაბულიდან ამოღებული მასალითა და შემოტანილი მასალით, ნაგებობის უკან, მოეწყობა უკუყრილი. სამუშაოების განხორციელების ბოლო ეტაპზე დაიშლება დროებითი დამბა და ამოივსება დროებითი არხი. სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო სამუშაოების განხორციელებისას

სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 90 დღე, ხოლო მშენებლობაზე დასაქმდება დაახლოებით 13 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის პერიოდში, ატმოსფერულ ჰაერში CO<sub>2</sub>-ის გაფრქვევა და ხმაურის გავრცელება მოხდება სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც დროებითი ხასიათი ექნება და არსებით ზემოქმედებას არ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. დაგეგმილი სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, ხმაურისა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ნორმების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია მდ. ყულისწყლის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. დოკუმენტის თანახმად, მდ. ყულისწყლის კალაპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმე სწორხაზოვან უბანზე 2,08 მ-ის ტოლია, ხოლო ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 5,4 მ-ს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. წყლის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვ. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. დოკუმენტის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების შემდგომ შემცირდება ეროზიული პროცესებით გამოწვეული წყლის სიმღვრივის მატების რისკები, რაც დადებითად აისახება იქტიოფაუნაზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტის განხორციელებისას წყლის გამოყენება დაგეგმილია მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. ტექნიკური დანიშნულებით წყლის მოხმარება დაგეგმილი არ არის და, შესაბამისად, პროექტის განხორციელებისას ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გაბიონის მოწყობის სამუშაოების განხორციელებისას წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ სათავსოში, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან. საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიები. ასევე წარმოდგენილი არ არის ცხოველთა ჰაბიტატები. გაბიონის მოწყობისას მოსალოდნელი არ არის ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში არ ყოფილა წარმოდგენილი.

მდ. ყულისწყლის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულიშკარში მდ. ყულისწყლის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი



საქართველო  
GEORGIA

გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის  
საინჟინერო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL  
PROTECTION AND AGRICULTURE  
OF GEORGIA

N 13569/01  
22/12/2021

13569-01-2-202112221621



**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას**

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს**

**სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს**

გიგზავნით „ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულიშკარში, მდ. ყულისწყლის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 22 დეკემბრის N 2-1673 ბრძანებას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

